სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

16 ოქტომბერი 2024

N 593/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ხობის და ფოთის მუნიციპალიტეტებში, შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ 110 კვ ძაბვის ორჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, „ხობის და ფოთის მუნიციპალიტეტებში, შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ 110 კვ ძაბვის ორჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე“ სკოპინგის დასკვნა N57;
2. შპს „ბლექ სი პეტროლიუმი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N57 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბლექ სი პეტროლიუმს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ხობის და ფოთის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/593-21-4-202410161751

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE